მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

პროექტი „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“

2023

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა
ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით
USAID-ის სააგენტოს მეშვეობით

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ქალთა ფონდ „სოხუმს“
და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის პოზიციას

სარჩევი

შესავალი 3
I. დემოგრაფიული მონაცემები 4
II. უსაფრთხოების არსი 5
III. საზოგადოებრივი უსაფრთხოება 8
დასკვნა 17
რეკომენდაციები 18

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის სისტემატიზებულ მონაცემთა ანგარიშს. მასში ასახულია საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დამოკიდებულება აღნიშნულ რეგიონში ადამიანური უსაფრთხოების საკითხების მიმართ.

კვლევა ჩატარდა USAID-ის სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი ფონდი „სოხუმის“ პროექტის „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“ ფარგლებში.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულებების, მიდგომების შეფასება მათი ადამიანური უსაფრთხოების საკითხების მიმართ სხვადასხვა სფეროში: სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ფიზიკური და სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური უსაფრთხოების, უსაფრთხო გარემოს და სხვა საკითხებში და ამ კუთხით გენდერული საჭიროებების შეფასება.

კვლევის ძირითადი მიგნებები და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გამოყენებული იქნება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თემებში მცხოვრები ქალი და ახალგაზრდა ლიდერების მიერ ადვოკატირების კამპანიებისთვის ადამიანური უსაფრთხოების სფეროში.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობდა 198 რესპონდენტი. ანკეტირებაში ჩაერთო 170 რესპონდენტი. ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი და 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ (თვისებრივი კვლევის მონაწილეთა ჯამური რაოდენობა - 28). სამიზნე ჯგუფები: სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის, სოციალური სტატუსის ქალები, მამაკაცები, ახალგაზრდები; სამოქალაქო აქტივისტები; თვითმმართველობის წარმომადგენლები.

კვლევის გეოგრაფია - კვლევამ მოიცვა ქალაქი წალენჯიხა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თემები - ფახულანი, წყოუში, პალური, ლია, ჯვარი.

კვლევის ჩატარების თარიღი - 2023 წლის თებერვალი-მარტი

I. დემოგრაფიული მონაცემები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში განხორციელებულიი რაოდენობრივ კვლევის მონაწილეთა მონაცემები სქესის, სოციალური სტატუსის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა **(დიაგრამა N1, N2):**





თვისებრივ კვლევაში ჩართული იყო 28 რესპონდენტი. მათ შორის 25 ქალი და 3 კაცი. კვლევამ მოიცვა საზოგადოების სხვადასხვა ასაკის, სოციალური და დასაქმების სტატუსის მოქალაქეები: ქალები, კაცები (როგორც დევნილები, ისევე ადგილობრივები, ფოკუსით კონფლიქტის გამყოფი ხაზის სიახლოვეზე); ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, სკოლების და ბაღების პედაგოგები, თვითმმართველობის წარმომადგენლები, ექიმები და ა.შ.
თვისებრივი კვლევის რესპონდენტთა ასაკი მერყეობს 18-დან 72 წლამდე.
რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა ასაკი მერყეობს 18-დან 76 წლამდე. მონაწილეთა საქმიანობის სტატუსი **დიაგრამაზე (N3):**



რაოდენობრივი კვლევის მასალებით, სოციალური სტატუსის მიხედვით უმუშევარია დევნილთა 73%, დასაქმებულია 15%; ადგილობრივი მცხოვრებლებიდან დასაქმებულია 51%, უმუშევარია - 44%. ადგილობრივი კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები დასაქმებულია 42%, უმუშევარია 39%; დევნილი - კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდე-

ბარედ მცხოვრები დასაქმებულია 26%, ხოლო უმუშევარია 44% (დანარჩენი წილი მოდის სტუდენტებზე, პენსიონრებზე).
სქესის მიხედვით დასაქმებულია ქალების 45% და კაცების 24%. აღნიშნულ რეგიონში იკვეთება მამაკაცების დასაქმების უფრო დაბალი ხარისხი. აღნიშნული საკითხი კორელაციაშია საკუთარი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების აღქმასთან. თვისებრივი კვლევის მონაცემებითაც მოქალაქეები გამოხატავენ წუხილს დასაქმების მინიმალური შესაძლებლობების გამო, რაც ნეგატიურად აისახება მთლიან სოციალურ კლიმატზე, ქმნის არაჯანსაღ საოჯახო და საზოგადოებრივ კლიმატს.

II. უსაფრთხოების არსი

თვისებრივი კვლევის მონაწილეები ცდილობენ თვალსაჩინო გახადონ საკუთარი აღქმა, რას ნიშნავს მათთვის უსაფრთხოება და როგორ „გამოიყურება“ უსაფრთხოების განცდა. ცდილობენ, დააკონკრეტონ, რა პირობები უნდა არსებობდეს, რომ თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობდნენ.
გამოიკვეთა, რომ მონაწილეთა უმრავლესობა უსაფრთხოდ ვერ გრძნობს თავს არსებულ გარემოში. ასევე დასახელდა ბევრი პრობლემა, რაც ხელს უშლის მათ უსაფრთხოებას.
თვისებრივი კვლევის მონაწილეებისთვის უსაფრთხოება ასოცირდება ქვეყანაში სტაბილურ ატმოსფეროსთან, სადაც კანონი იცავს სამართლიანობას, პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს, შექმნილია სათანადო სამუშაო პირობები, მაგ.: ინფრასტრუქტურა, შიდა გზები, მუდმივი წყალმომარაგება, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა.

> *„უსაფრთხოება მარტივი, განყენებული ცნება არ არის. უსაფრთხოებაში იგულისხმება პიროვნებისა და საზოგადოების დაცვა, როგორც ფიზიკური ძალადობის, ისე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური საფრთხეებისგან, ბუნებრივი კატაკლიზმებისგან, ეპიდემიებისგან და ა.შ., გამოწვეული საფრთხის არსებობისგან. ჩემთვის უსაფრთხოება ნიშნავს, ვცხოვრობდე საზოგადოებაში, სადაც ჩემს ინტერესებს, ჩემს უფლებებს იცავს სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტები. არ იზღუდება ჩემი სიტყვის, აზრის გამოთქმის, გადაადგილების თავისუფლება. ვიყო ტოლერანტული, მშვიდი, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში,“ - ვ.გ., სკოლის დირექტორი, კაცი, 63 წ., წყოუში.*

საკუთარი უსაფრთხოების ხარისხი შეაფასეს **რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებმაც.** უსაფრთხოების ხარისხის შეფასება მოხდა ხუთსაფეხურიანი სკალით. **შედეგები დიაგრამაზე N4:**

შეაფასეთ თქვენი უსაფრთხოების ხარისხი 1-დან 5-მდე სკალის მიხედვით



სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები უჩვენებს, რომ რიგ შემთხვევებში მონაცემები ქალების და კაცების მიერ შეფასებაში განსხვავებულია. მაგალითად, უმაღლესი 5 ქულით აფასებს ქალების 11% და კაცების 4%. 2 ქულით აფასებს საკუთარ უსაფრთხოებას ქალების 50% და კაცების 27%. ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ქალები უფრო ნაკლებად დაცულად გრძნობენ თავს, ვიდრე მამაკაცები.
თვისებრივი კვლევის მასალებით გამოიკვეთა, რომ დასაქმება პირდაპირ კავშირშია უსაფრთხოების განცდასთან და ყველაზე მეტად ისინი გრძნობენ დაუცველად თავს, ვინც არ არის დასაქმებული, ან აქვს ძალიან დაბალი ანაზღაურება.

> ***„უსაფრთხო გარემო ვერ იქნება გაჭირვებულ ყოფაში, ბევრი უმუშევარია სოფელში, რომლებსაც ეკონომიკურად უჭირთ. ბევრი ქალი საზღვარგარეთ წავიდა, მოხუცები და ბავშვები მზრუნველობას არიან მოკლებულნი, პენსიონრებს იმის ნაცვლად, რომ მათი მიზერული პენსია თავის საჭიროებებს მოახმარონ, ხშირად მთელი ოჯახის რჩენა უწევთ. ყველა ზემოთ აღნიშნული პრობლემა ქმნის უსაფრთხო გარემოს საშიშროებას," - პ. გ., პედაგოგი, ქალი, 66 წლის, ფახულანი.***

რაოდენობრივ კვლევაშიც ასევე გამოიკვეთა, რომ დასაქმებულები უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ საკუთარი უსაფრთხოების ხარისხს, ვიდრე დაუსაქმებლები. 5 ქულა - დასაქმებულების 15% და უმუშევრების 4%. სტუდენტები საერთოდ არ ირჩევენ მოცემულ პასუხს.
10 პენსიონრიდან 7 (58%) აფასებს მინიმალური 1 ქულით. თვისებრივი კვლევის მონაცემებიც ამყარებს მოსაზრებას, რომ პენსიონრები ნაკლებად გრძნობენ თავს დაცულად და ღირსეული სიბერისთვის მეტი გარანტიები სჭირდებათ.

> ***„პენსიონრების ცხოვრება უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველანაირად. არიან ხანდაზმული ქალბატონები და ბატონები, რომელთა საცხოვრებელი პირობები უნდა გაუმჯობესდეს. ხანდაზმულობაში გვჭირდება მშვიდი ცხოვრება, უზრუნველი სიბერე. ეს სახელმწიფომ უნდა მოაგვაროს," - ხ. ბ., ბაღის გამგე, იგპ, ქალი, 56 წ., ფახულანი.***

რაოდენობრივი კვლევის ყველა სოციალურ კატეგორიაში იკვეთება ტენდენცია, რომ ყველაზე ხშირად შეფასებისთვის 2 ქულას ირჩევენ. მათ რიცხვშია დევნილთა 10%, ადგილობრივთა 58%, ადგილობრივი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 30%, დევნილი/კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 28%. შექმნილი სურათის მიხედვით, უსაფრთხოების განცდა ბევრად ნაკლები აქვთ კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრებ მოქალაქეებს, როგორც ძირძველ მცხოვრებლებს, ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე კონფლიქტის შედეგად დაფუძნებულებს.
თვისებრივი კვლევის მონაწილეები ასახელებენ ადამიანური უსაფრთხოების მათთვის მნიშვნელოვან კონკრეტულ ასპექტებს: „როდესაც გაქვს სიმშვიდის განცდა იმის გამო, რომ გიცავს კანონები. არ გაქვს შიშის განცდა"; „როცა მოქალაქეებს არ აქვთ უმუშევრობის შიში"; „თავს ვგრძნობდე დაცულად ყველგან, სადაც არ უნდა ვიყო: ოჯახში, სამსახურში, ტრანსპორტში. ასევე უნდა იყოს მოწესრიგებული სატრანსპორტო გზა, დაცული უნდა იყოს მოძრაობის წესები"; „როდესაც მინიმუმამდეა დაყვანილი კრიმინალი"; „ქვეყანა უნდა იყოს ძლიერი, უნდა იყოს საზღვრები დაცული ისე, რომ მოქალაქეებში არ იყოს ში-

შის განცდა გარე საფრთხეების გამო“; „როდესაც დაცულია საგანმანათლებლო სივრცე, არ არის ბულინგი“; „ფასები უნდა იყოს სტაბილური, არ უნდა იცვლებოდეს წარამარა. გაკონტროლდეს ფასები მედიკამენტებზე, რომელთა შეძენა ძალიან უჭირს მოსახლეობას“; „როდესაც დაცულია საკვები პროდუქტების უსაფრთხოება“.

რაოდენობრივ კვლევაში კითხვაზე „რა არის თქვენთვის უსაფრთხოება“, პასუხების ყველაზე მეტი შემთხვევა იყო: „ქვეყანაში/რეგიონში ომის საფრთხის არარსებობა და სტაბილურობა“. მიღებული 387 პასუხიდან შემთხვევების უმრავლესობა - 141 (81%) მოდის მოცემულ კითხვებზე. „გადაადგილების თავისუფლება (განათლების მისაღებად, ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, მკურნალობის მისაღებად და ა.შ.)“ – შემთხვევების 53%, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“ - შემთხვევების 42%.

სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემებით, ქალებისთვისაც (81%) და კაცებისთვისაც (91%) ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყანაში ომის საფრთხის არარსებობა და სტაბილურობა (პასუხები აღებულია შემთხვევების რაოდენობიდან).

ასაკის მიხედვით 18-დან 30 წლამდე ახალგაზრდებისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „გადაადგილების თავისუფლება (განათლების მისაღებად, ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, მკურნალობის მისაღებად და ა.შ.)“ – შემთხვევების 69%. 31-45 წწ. - „ქვეყანაში ომის საფრთხის არარსებობა და სტაბილურობა“ - შემთხვევების 64%, 46-65 წწ. - „ოჯახის კეთილდღეობა“ - შემთხვევების 59%. 65 წლის ზევით რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანია „ქვეყანაში/რეგიონში ომის საფრთხის არარსებობა და სტაბილურობა“ - შემთხვევების 100% და „ოჯახის კეთილდღეობა“ (90%). სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემებით, გადაადგილების თავისუფლების საკითხი უფრო მეტად აწუხებთ ქალებს. ამ დებულებას 115-იდან 65 ქალი ასახელებს და 26 კაცი 55-დან.

საინტერესოა გადაადგილების თავისუფლებისა და ასაკობრივი კატეგორიის, სოციალური სტატუსის კორელაცია. ყველაზე მეტად ირჩევს მოცემულ დებულებას 18-დან 30 წლამდე კატეგორია (69%), ყველაზე ნაკლებად 65+ კატეგორია (20%).

ასევე საინტერესოა გამოხატვის თავისუფლების ხარისხის კორელაცია ასაკობრივ კატეგორიასთან და სოციალურ/ სტატუსთან. ყველაზე მეტად გამოხატვის თავისუფლებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ 18-დან 30 წლამდე ახალგაზრდები.

კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები დევნილი და ადგილობივი მოქალაქეებიც შედარებით მეტ დაინტერესებას გამოხატავენ გამოხატვის თავისუფლების მიმართ: დევნილი - 31%, ადგილობრივი - 43%; კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები დევნილი - 49%, კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი - 48%.

რაოდენობრივი **კვლევის რესპონდენტები გვიზიარებენ ინფორმაციას, საიდან იღებენ ცნობებს იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში და მსოფლიოში.** სულ მიღებული იყო 319 პასუხი. შემთხვევების უმეტესი წილი მოდის ინტერნეტ წყაროებზე - 57%, ადგილობრივ ტელევიზიაზე - 52%, საერთაშორისო მედიასაშუალებებზე - 45%. მხოლოდ 1 შემთხვევაში იქნა შემოხაზული რუსეთის ტელევიზია.

მიღებული ინფორმაციით, ინტერნეტ რესურსებით სარგებლობის მეტი წილი მოდის ახალგაზრდებზე. 65 წელს ზევით თითქმის არ ფიქსირდება ინფორმაციის წყაროდ ინტერნეტ რესურსების გამოყენება.

III. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

თვისებრივი კვლევის რესპონდენტებმა დაასახელეს საკითხები - რა უქმნის საშიშროებას მათ უსაფრთხოებას, რატომ ვერ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ ოჯახში, საზოგადოებაში, ქვეყანაში.

პირველ რიგში, ხაზგასმული იყო ის, რომ მუნიციპალიტეტი მდებარეობს კონფლიქტის გამყოფი ხაზის გასწვრივ, რაც დიდწილად განაპირობებს იმ სპეციფიკური პრობლემებს, რაც საქართველოს დანარჩენი მუნიციპალიტეტებისგან განასხვავებს და იქ მცხოვრებ ადამიანებს უფრო მოწყვლადს ხდის.

> *„მე ვფიქრობ, რომ სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება საოკუპაციო გამყოფ ხაზს, სადაც ადამიანები, ფაქტობრივად, მიტოვებულად გრძნობენ თავს, სერიოზული პრობლემა არის დასაქმება, ანუ ადამიანები ვერ გრძნობენ თავს ვერც დაცულად და ვერც რეალიზებულად," - თ. ბელქანია, ვიცე-მერი.*

სწორედ ამის მიზეზია, რესპონდენტების აზრით, მიგრაციის მაღალი ხარისხი. გაჟღერდა პოზიციები, რომ საგრძნობლად გაუარესდა სიტუაცია უსაფრთხოების კუთხით. მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოებაში ძალიან დაძაბული სოციალური და პოლიტიკური ფონია, რაც მათ შფოთვას და წუხილს იწვევს, უკარგავს ელემენტარული სტაბილურობის განცდასაც კი. ისინი არ მოერიდნენ იმის აღნიშვნას, რომ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის პოლიტიკური დაპირისპირება ნეგატიურად აისახება უბრალო ადამიანების კეთილდღეობაზე. გამოითქვა ცალკეული კრიტიკული მოსაზრება, რომ „ცენტრალური ხელისუფლება გულგრილია მუნიციპალიტეტის და მისი მოსახლეობის საჭიროებების მიმართ".

აღინიშნა, რომ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის შეიმჩნევა დაშორებისა და გაუცხოების ზრდის ტენდენცია და იზრდება ნიჰილიზმი. გულისტკივილით დაფიქსირდა პოლარიზების ზრდა და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულება.

> *„საზოგადოებაში ზიზღის დათესვის მცდელობა არის და ახერხებენ კიდევაც. თუნდაც ის, თუ რა ხდება სოციალურ ქსელში, როგორი უპატივცემლობა იგრძნობა ხალხში ერთმანეთის მიმართ," - ზ. გ., მერის წარმომადგენლის თანაშემწე, ქალი, ფახულანი.*

განსაკუთრებული წუხილის საგანია ფასების ზრდა.

> *„ყველა ჩვენგანში ამან გამოიწვია შფოთვა იმის გამო, რომ მომავალში შეიძლება ვერ შევიძინოთ წამალი, საკვები და ა.შ.," - ც. გ, ბაღის ტექპერსონალი, ქალი, 66 წლის, ფახულანი.*

> *„გაზრდილია ნარკომანია, კრიმინალი, გაზრდილია საგზაო კატასტროფები. ასეთი განუკითხაობა აქამდე არ ყოფილა,"- ნ. ქ., ექთანი, ქალი, 66 წლის, ფახულანი.*

კვლევის რესპონდენტებმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს სასმელი წყლის ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე. საკითხი თანაბრად აწუხებთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მონაწილეებს. ითქვა, რომ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ არსებული რესურსების სიმწირე ხელს უშლის საკითხის ბოლომდე მოგვარებას.

რაოდენობრივი კვლევით გამოვლინდა რესპონდენტების დამოკიდებულება, ჩამოთვლილთაგან რომელი საკითხია მათთვის და მათ თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური. **მასალები ცხრილში (N1):**

3.1. ჩამოთვლილთაგან, რომელი საკითხია თქვენთვის და თქვენს თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური		
ტროტუარების მოწესრიგება	7	4%
გზის მოწესრიგება	28	16%
სანიაღვრე არხების გაკეთება	9	5%
საკანალიზაციო სისტემის გამართვა	22	13%
სოფლის შიდა გზების მოწესრიგება	61	36%
წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება	83	49%
ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება	82	48%
საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში	103	61%
გარე განათებების გამართვა	18	11%
ფეხით მოსიარულეთათვის ბორდიურების გაკეთება	8	5%
საბავშვო ბაღებში არასათანადო პირობები/ბაღების არასაკმარისი რაოდენობა	1	1%
სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები	15	9%
სკოლისგარეშე წრეები ბავშვებისთვის	15	9%
ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისები	11	6%
	336	**198%**

კვლევის მონაცემთა სეგრეგაცია: სქესის ნიშნით განხილვისას ქალებისთვის უფრო მნიშვნელოვანია საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში (სალონი) - შემთხვევების 63%, ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება - 50%, წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება 48%.

მამაკაცებისთვის - სოფლის შიდა გზების მოწესრიგება - 55%, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები სოფელში (სალონი) - 55%, ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება - 45%, წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება - 51%.

სტატუსის მიხედვით განსხვავება პასუხებში არ ყოფილა.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებმა დაასახელეს, რას მიიჩნევენ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის ყველაზე დიდ პრობლემად.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ შეინიშნება კრიმინალის ზრდის ტენდენცია, რასაც ამწვავებს კონფლიქტის გამყოფი ხაზის სიახლოვე. მათ მუდმივად უწევთ ცხოვრება დაძაბულ რეჟიმში, როდესაც მოწყვლადი არიან ნებისმიერი პოლიტიკური ესკალაციის მიმართ. რესპონდენტები ერთხმად გამოხატავენ წუხილს საზოგადოებაში ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების

საგანგაშო ზრდის და მისი დამანგრეველი სოციალური შედეგების გამო. ცალსახად გამოკვეთილი პრობლემაა უმუშევრობა, რომელიც ერთნაირად მტკივნეულია საზოგადოების ყველა სოციალური კატეგორიისთვის, თუმცა ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრებით, ამ პრობლემის არსებობა ქალებში უფრო მეტი სოციალური ზიანის მომტანია ოჯახებისთვის.

„უმუშევრობა არის ყველაზე დიდი პრობლემა თემში, განსაკუთრებით ქალებისთვის, ბევრი ქალი გავიდა სოფლიდან. ამით ყველაზე მეტად ბავშვები ზარალდებიან, მათ აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები," - ნ. გ., ოჯახის ექიმი, ფახულანი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სპეციფიკა განსხვავებულია სხვა მუნიციპალიტეტებისგან იმით, რომ აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებში სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის არსებობის გამო ზოგჯერ ადგილი აქვს პოლიტიკურ პოლარიზაციას, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა მიმართ შეუწყნარებლობის საკმაოდ მაღალ ხარისხს. თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრებით, შეიძლება ამ მომენტის გამოყენება ჯანსაღი კონკურენციისა და მუნიციპალიტეტის პროგრესისკენ მიმართულ პროცესებში, სადაც თვითმმართველობაში ჩართული იქნება ყველა მოქალაქე.

„მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა, მათი აზრის გათვალისწინება. როგორ უნდა მოხდეს? ალბათ იმ მოდელის მიხედვით, რომელიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება. ეს არის კოალიციური ხელისუფლება, სადაც ყველა ერთმანეთს აკონტროლებს და თან გვერდში უდგას საქმის კეთებაში," - თ. ბელქანია, ვიცე-მერი, წალენჯიხა.

თვისებრივი კვლევის მონაწილეთა შეფასებით, სერიოზული პრობლემაა ის, რომ მუნიციპალიტეტში გაზიფიცირება არ არის. პრობლემას წარმოადგენს წლობით მოუწესრიგებელი გზები, შიდა ტრანსპორტის დეფიციტი. არის სოფლები, სადაც „სარეცხის მანქანა საერთოდ არ ჩართულა", რადგან წყალი არ არის. როგორც ქალი, ასევე მამაკაცი რესპონდენტები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ სიტუაცია განსაკუთრებით საგანგაშოა ზაფხულში, როცა ჭები შრება და ქალები იძულებული არიან, ოჯახის საჭიროებისთვის წყალი შორი მანძილიდან ატარონ (მათი პასუხებიდან სწორედ ქალების მეტი წილი იკვეთება ამ ზრუნვის პოლიტიკაში).
კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ პრობლემებს ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით.

„სოფელში აფთიაქის არარსებობაც დიდი გამოწვევაა, გვაქვს სტომატოლოგის დეფიციტიც. მე, როგორც ოჯახის ექიმს, არ მაქვს საკმარისი რესურსი, რომ მოვემსახურო მთელ სოფელს. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სოფელი დიდია. მაგალითად, ქალაღალის უბანი 9 კილომეტრითაა დაშორებული აქედან და უჭირთ ჩვენამდე ავადმყოფებს მოღწევა. კარგი იქნებოდა პატარა სამედიცინო პუნქტის არსებობა, რომელიც პირველად დახმარებას გაუწევდა ამ უბანში მცხოვრებლებს. ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ექთნების რესურსი, რომლებიც უბან-უბან ივლიან და მუდმივ კონტაქტში იქნებიან მოსახლეობასთან. მიმაჩნია, რომ სოფლის ამბულატორიას უნდა ემსახურებოდეს ერთი ავტომანქანა. სიტუაციას შეგვიმსუბუქებდა ელემენტარული ლაბორატორიული კვლევის შესაძლებლობა (სისხლის, შარდის, ქოლესტერინის და შაქრის განსაზღვრა)," - ნ. გ., ოჯახის ექიმი, ფახულანი.

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტები ასევე აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას, რა მიაჩნიათ ყველაზე დიდ გამოწვევად საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით: **ცხრილი N2.**

ჩამოთვლილთაგან, რომელს მიიჩნევთ ყველაზე დიდ პრობლემად საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის (გთხოვთ შემოხაზოთ 2 თქვენთვის პრიორიტეტული პასუხი)		მონაწ.	პასუხ.
ა) კრიმინალის ზრდა	63	37%	17%
ბ) გაუმართავი საგზაო მოძრაობა	34	20%	9%
გ) ალკოჰოლიზმი/ნარკომანია	34	20%	9%
დ) საქართველოში კონფლიქტების ესკალაციის საშიშროება	87	51%	24%
ე) მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა	37	22%	10%
ვ) საზოგადოებაში შეუწყნარებლობის/დისკრიმინაციის მაღალი დონე	32	19%	9%
ზ) პოლიტიკური პოლარიზაცია/განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა მიმართ შეუწყნარებლობის მაღალი ხარისხი	77	45%	21%
სულ	**364**		100%

სეგრეგირებული მონაცემებით, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას მიიჩნევს პრობლემად უფრო მეტი ქალი (23%), ვიდრე მამაკაცი (10%). ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით ეს პრობლემა უფრო მეტად აწუხებს 31-დან 45 წლამდე კატეგორიას (მათი 31%).
პოლიტიკური პოლარიზაცია/განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირთა მიმართ შეუწყნარებლობის ხარისხს პრობლემად აღიქვამენ უფრო მეტად ადგილობრივი მოქალაქეები (შემთხვევების 64%), ვიდრე დევნილები (შემთხვევების 50%). გამოკვეთილად პრობლემურად მიიჩნევენ აღნიშნულ საკითხს 18-დან 30 წლამდე ახალგაზრდები (შემთხვევების 73%).

კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების უსაფრთხოების საკითხს.
როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ განათლების უსაფრთხოების კუთხით არსებულ ხარვეზებს. თვისებრივი კვლევის ახალგაზრდა რესპონდენტების გულისტკივილია ის, რომ მოუწესრიგებელი გზების, ტრანსპორტის გამო ბევრი აბიტურიენტი ვერ ახერხებს სათანადო მომზადებას ეროვნული გამოცდებისთვის. განსაკუთრებით ისინი, ვინც სარგებლობს რეპეტიტორების მომსახურებით.

„აქვთ თუ არა თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომა“ - რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტების 74%-ის პასუხია - „ნაწილობრივ“.
უმაღლესი განათლების ასევე ნაწილობრივ ხელმისაწვდომობას ასახელებს რესპონდენტების 69%.

სოციალური სტატუსის მიხედვით დევნილების 38% ასახელებს, რომ უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია მათთვის, მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის. იმავე პასუხს ირჩევს ადგილობრივების 26%, კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები დევნილების 36% და კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივების 18%. აქაც იკვეთება იგივე ტენდენცია, რომ კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ დევნილებს და ადგილობრივებს აქვთ ნაკლები ხელმისაწვდომობა სერვისებისადმი.

ფიზიკური უსაფრთხოების კუთხით გამოიკვეთა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემა. ის კვლევის მონაწილეების მიერ აღქმული იყო, როგორც აქტუალური და მჭიდროდ დაკავშირებული სხვადასხვა არასასურველ ფსიქოსოციალურ ფაქტორთან.

> *„უსაფრთხოება იწყება ოჯახიდან. ჯერ ოჯახში უნდა იყოს უსაფრთხო გარემო, სიყვარული, პატივისცემა, ურთიერთგაგება. ასეთი ოჯახის ადამიანები ქმნიან მშვიდ, არაკონფლიქტურ ატმოსფეროს, ყველგან, სადაც არ უნდა იყვნენ, არიან ფსიქიკურად გაწონასწორებულები, რაც უსაფრთხო გარემოს საწინდარია," - პ.გ., პედაგოგი, ქალი, 66 წ., ფახულანი.*

რესპონდენტების აზრით, სერიოზული გამოწვევაა ბავშვთა მიმართ ძალადობა, ბულინგი:

> *„აქტუალური პრობლემაა ოჯახში ძალადობა, ბავშვთა მიმართ ძალადობა, საჭიროა უფრო მეტად მოხდეს ოჯახების ამ მიმართულებით გათვითცნობიერება. ბევრი პრობლემა არის ამ მხრივ, ბევრი ქალი მალავს ძალადობის ფაქტს, ბავშვებიც მალავენ, არ არიან გახსნილები და საზოგადოებაც მალავს. ეს არის ის წინაპირობა, რომელმაც სავალალო შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს. სკოლებში არის ბულინგის ფაქტები, მე პირადად აქტიურად ვთანამშრომლობ ასეთ ბავშვებთან. ფონდი „სოხუმის" ხელშეწყობით ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, ბავშვებს მიეღოთ ფსიქოლოგის კონსტულტაცია, რამაც გარკვეულწილად გამოიღო შედეგი," - ნ. გ., ოჯახის ექიმი, ფახულანი.*

რაოდენობრივი კვლევით გამოვლინდა რესპონდენტთა უფრო ფართო კატეგორიის დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის საკითხებისადმი **(დიაგრამა N5):**



სქესის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემებით, გამოკითხული ქალების მხოლოდ 21% აფიქსირებს, რომ პრობლემა აქტუალურია, როდესაც იგივე კითხვას ადასტურებს მამაკაცების 42% (55-დან 23). „არ მაქვს პასუხი“ აირჩია ქალების 57%-მა და კაცების 35%-მა. ასაკის მიხედვით ჩაშლილი მონაცემებით, საკითხს სხვაზე უფრო აქტუალურად მიიჩნევს 46-65 წწ. კატეგორია (59%). 65+ ასაკის რესპონდენტების პასუხია: „აქტუალურია“ - 30%, „ძალიან აქტუალურია“ - 20%, „არ მაქვს პასუხი“ - 50%.

სოციალური სტატუსის მიხედვით მიღებულ პასუხებში კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრები დევნილები უფრო აქტუალურად მიიჩნევენ პრობლემას, ვიდრე სხვა დევნილები, ასევე - ადგილობრივი/კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოქალაქეები სამჯერ უფრო მეტად მიიჩნევენ პროლემას „აქტუალურად“ და „ძალიან აქტუალურად“, ვიდრე სხვა ადგილობრივი მოქალაქეები.

კვლევის მონაწილეებმა უპასუხეს კითხვას ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმების შესახებ **(დიაგრამა N6):**

ჩამოთვლილთაგან, ქალთა მიმართ ძალადობის რომელი ფორმაა ყველაზე გავრცელებული თქვენს თემში?



სეგრეგირებული მონაცემების შედარებისას ყველა კატეგორიაში ჭარბობდა ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმების აღიარება, როგორც ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმისა. კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრები დევნილების პასუხებში ყველაზე მეტი პასუხი ეხებოდა ფიზიკურ ძალადობას (29%), შედარებით ნაკლები - ფსიქოლოგიურ ძალადობას (45%) და ასევე ყველაზე მეტად იყო დასახელებული ეკონომიკური ძალადობა 28%. მთლიანობაში, 170 რესპონდენტიდან მხოლოდ 5-მა დაასახელა სექსუალური ძალადობის ფორმა.

რაოდენობრივი კვლევის რესპონდენტებმა დაასახელეს, რამდენად აქვთ ინფორმაცია მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისების შესახებ **(დიაგრამა N7):**

გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ?



ყველაზე მეტად სერვისის შესახებ ინფორმირებულები აღმოჩნდნენ ადგილობრივი - კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეები (39%). ყველაზე ნაკლებად - 46-65 წწ. მოქალაქეები. დახმარების სერვისების თაობაზე ინფორმაციას მოქალაქეები უფრო ხშირად იღებენ სოციალური ქსელიდან - 66%; ტელევიზია, რადიო - 39%, შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან - 22%.

სახელისუფლებო სტრუქტურები, როგორც ინფორმაციის წყარო, უფრო მეტად ფიგურირებს 18-30 წწ. კატეგორიაში (10%). არცთუ ისე ეფექტურად გამოიყურება ინფორმაცია, მიწოდებული საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საინფორმაციო ფურცლებით, განცხადებებით (5-6%).

ყველაზე ხშირად იღებს ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებით 18-30 წწ. კატეგორია (27%). „შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან“ ასევე ფიგურირებდა უფრო დასაქმებულთა კატეგორიაში - 31%, უმუშევრებში - 20%, 17% - სტუდენტებში.

კვლევის მონაწილეები პასუხობენ კითხვას, რამდენად ხელმისაწვდომია არსებული სერვისები მოქალაქეებისთვის. სერვისების ხელმისაწვდომობას ეთანხმება უფრო ხშირად ქალების (17%) კატეგორია. მოცემულ კომპონენტშიც იკვეთება სერვისის ხელმისაწვდომობის სიმწირე კონფლიქტის გამყოფ ხაზთან. „არასაკმარისად ხელმისაწვდომია“: ადგილობრივი - 33%, ადგილობრივი - კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 91%; დევნილი - 38%, დევნილი - კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარედ მცხოვრები - 87%. მიუხედავად ამისა, იკვეთება საინტერესი ტენდენცია: კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადგილობრივი მოქალაქეებიც და იგპ პირებიც ყველაზე ნაკლებად ირჩევენ პასუხს: „საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი“ (შესაბამისად, 9% და 10%). მაშინ, როდესაც ყველა სხვა კატეგორიაში ეს პასუხი მერყეობს 30-დან 50%-ს შორის.

კვლევის მონაცემებით გამოვლინდა, ხდება თუ არა პირადი და საზოგადოებრივი პრობლემის გადასაჭრელად მიმართვა სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის. რესპონდენტთა განცხადებით, ზოგჯერ ადამიანები თავს იკავებენ მიმართვაზე, რადგან არ სჯერათ, რომ მოხდება საკითხის გადასაწყვეტად თანამშრომლობა. ამის საფუძველს აძლევთ წლობით გადაუჭრელი ყოფითი, ინფრასტრუქტურული პრობლემები. თუმცა, თვისებრივი კვლევის რესპონდენტები ასახელებენ საკითხებს, რომლებიც მათ მიერ იყო დაყენებული ადგილობრივ დონეზე ადვოკატირებისთვის და დადებითად გადაწყდა. მაგალითად - საბავშვო ბაღისთვის სათამაშოების, ინვენტარის გამოყოფა; საბავშვო ბაღის სახურავის შეკეთების თაობაზე მიღებული პოზიტიური გადაწყვეტილება; ფახულანში ახალი სკოლის მშენებლობა.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების პასუხი იგივე კითხვაზე ასევე მიანიშნებს მოქალაქეების ნაკლებ თანამშრომლობაზე თვითმმართველობებთან. პასუხი „არა“ ფიგურირებს ქალების 17%-ში და მამაკაცების 29%-ში.

ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მიმართვაზე ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით პასუხები ვარირებს 21-24% შორის. სხვებთან შედარებით უფრო ხშირად მიუმართავთ კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მცხოვრებლებს (24%), როგორც ადგილობრივებს, ასევე დევნილებს (38%-ში). ყველაზე მეტი აქტიურობა დააფიქსირეს სტუდენტებმა - 50%.

მიუხედავად იმისა, რომ მიმართვის პრაქტიკა გამოკვეთილად დაბალია, ნიჰილიზმის გამოვლინება „არ მიმიმართავს, რადგან არ მჯერა, რომ მას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება“ საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება - 2%-დან 9%-მდე. ყველაზე მაღალი დოზით ნიჰილიზმი გამოავლინა უმუშევრების სოციალურმა კატეგორიამ.

ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი რისკების გავლენა მოსახლეობაზე, რესპონდენტების აღქმით, საკმაოდ ნეგატიურია:

„ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რასაც ვაწყდები მუნიციპალიტეტში, ეს არის ჯანდაცვა, რომელიც არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი. ეს არის სერიოზული პრობლემა, ფუნდამენტურად არ ასახავს იმ მოთხოვნას, რომელიც მოქალაქეს სჭირდება. პრაქტიკულად, სახელმწიფომ ჩახსნა ყველა სერვისი სტაციონალურ მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც წალენჯიხაში ძალიან სერიოზული კულტურა იყო. პირველი ის, რომ არ არის სერვისები, რაც ადამიანს შეიძლება დასჭირდეს: ქირურგის მომსახურება, გინეკოლოგის მომსახურება თუ ელემენტარული რადიოლოგი. არ არის საუბარი მაღალი ტექნოლოგიის ულტრაბგერით გამოკვლევებზე. ამ მხრივ სერიოზული პრობლემაა,“ - თ. ბელქანია, ვიცე-მერი, წალენჯიხა.

რესპონდენტები გამოყოფენ სხვა საჭირბოროტო პრობლემებს, როდესაც თავად მოქალაქეების მიზეზით ჩნდება პრობლემა:

„ჩვენი საზოგადოება, რაოდენ დასანანიც არ უნდა იყოს, ნაკლებ ინტერესს იჩენს გარემოს დაცვის მიმართ, ბუნების მოვლაზე. ნაგავი პირდაპირ ქუჩაში იყრება, მდინარე სავსეა პოლიეთილენის პარკებით, პლასტმასის ცარიელი ბოთლებით, ათასნაირი ნაგვით და ამის შემოქმედნი ჩვენ ვართ - ჩვენი საზოგადოება. ვერ ჩამოვყალიბდით, ვერ გავითავისეთ, რომ ამით ჩვენს თავს ვუქმნით საფრთხეს,“ - ვ. გ., სკოლის დირექტორი, კაცი, 63 წლის, ფახულანი.

„ფახულანელი ახალგაზრდა რომ დასაქმდეს ქალაქში, ტრანსპორტში მოუწევს ხელფასის 80%-ის გადახდა. ჩვენთან ტაქსს ამოსვლა ეზარება, სასწრაფოს აგვიანდება და სწრაფ რეაგირებას ვერ აკეთებენ,“ - ა. გ., ქალი, აბიტურიენტი, ფახულანი.

ახალგაზრდები აღნიშნავენ პოლიტიკური ნიშნით დაყოფის, დისკრიმინაციის ნეგატიურ შედეგებს, რასაც მოსდევს გაუცხოება და პოლარიზება და ემუქრება თემის სოციალურ კლიმატს. მათ გამოკვეთეს სკოლის მოსწავლეების დაუცველობა მზარდი კრიმინალის გამო, სკოლასთან არსებული ე.წ. „ბირჟის“ არაჯანსაღი გავლენა სასკოლო გარემოზე, ბულინგის შემთხვევები, რომელთა შესახებ ინფორმაცია ვერ აღწევს შესაბამის სტრუქტურებამდე. მოუწესრიგებელი გზები პირდაპირ უკავშირდება ახალგაზრდების ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებს.

„ხშირად გარკვეულ საშიშროებასთანაა დაკავშირებული სკოლიდან სახლში წასვლა, რეპეტიტორთან სიარული, ხშირად ამიტომ მშობლები შვილებს უკრძალავენ დამატებით რეპეტიტორთან სიარულს და ამ ყველაფერს იქამდე მივყავართ, რომ უსაფრთხოების სანაცვლოდ განათლებაზე უწევთ უარის თქმა,“ - ს. გ., ახალგაზრდა ქალი, ფახულანი.

კვლევის მონაწილეები შეშფოთებულები არიან გადაჭარბებული სიჩქარის, საგზაო შემთხვევების სიხშირის გამო. მშობლებს ეშინიათ შვილების სკოლაში მარტო გაშვების. მათი აღნიშვნით, არ არის ვიდეოკამერები, პატრულის ეკიპაჟი არ მოძრაობს და არ ხდება გადაჭარბებულ სიჩქარეზე რეაგირება. ამის გამო ისინი თავს ვერ გრძნობენ უსაფრთხოდ.

რესპონდენტები საგანგაშოდ მიიჩნევენ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით მოზარდებისთვის და მის დამაზიანებელ შედეგებს:

„მარიხუანის მოწევა-შეძენაზე ვსაუბრობ, რაც დიდ ზიანს აყენებს მოზარდს. ასევე აქტუალურია ფსიქოტროპული აბების, ალკოჰოლის მიღება, რასაც კატასტროფულ შედეგამდე მივყავართ," - ს. გ., ახალგაზრდა ქალი, ფახულანი.

ადამიანური უსაფრთხოების რისკები დგება მაშინაც, როდესაც არ არის მოქალაქეების სათანადო კომუნიკაცია და თანამშრომლობა ადგილობრივ და ცენტრალურ სტრუქტურებთან. ასევე, რიგი რესპონდენტების აზრით, საკითხს დიდად არ უწყობს ხელს დეცენტრალიზაციის დაბალი ხარისხი და, პირიქით, პოზიტიურად წყდება, როცა ინიციატივა მიდის ქვევიდან და „ვერტიკალი ირღვევა".

„თუნდაც დიალიზის ცენტრი რომ იხსნება, ჩვენ მივმართეთ ჯანდაცვის სამინისტროს, რომ კვლევა გვაქვს ჩატარებული, გვაქვს რესურსი და მოვიძიებთ იმ კოლოსალურ თანხასაც, რომელიც სჭირდება ამ და ასევე მეორე [საუბარია რეანიმობილზე] სერიოზული საკითხის მოგვარებას," - თ. ბელქანია, ვიცე-მერი.

რამდენად ხდება არსებული რისკების შესწავლა, მათი ადრეულ სტადიაში აღკვეთა; რამდენად ასახავს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამები მოწყვლადი მოსახლეობის სპეციფიკურ საჭიროებას - კვლევის მონაწილეების აზრით, ამ ჯგუფების საჭიროებებს სრულად ვერ ასახავს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამები.

„თუმცა ჩვენ ვახორციელებთ მათზე მონიტორინგს, საჭიროა ამ პროგრამების გადახედვა და გადახალისება. მე ბევრ ოჯახში მიწევს სიარული და თვითონაც ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში," - ნ. გ., ოჯახის ექიმი, ფახულანი.

პოზიტიურად გადაჭრილი საკითხების ჩამონათვალშია ფახულანში ახალი სკოლის მშენებლობის საკითხი. სკოლა არის ადმინისტრაციულ საზღვართან, სადაც ადგილობრივებთან ერთად აფხაზეთიდან გადმოსული ბავშვებიც ეუფლებიან განათლებას. მნიშვნელოვანია მათთვის უსაფრთხო, მიმზიდველი გარემოს შექმნა.

„ახალი სკოლა თანამედროვე ინფრასტრუქტურით იყო ჩვენი პრობლემის მოგვარების გზა და არაერთგზის მიგვიმართავს ამ საკითხზე სახელმწიფო სტრუქტურებისთვის. რეაგირების შედეგია ის, რომ მალე ახალ სკოლას აგვიშენებენ. სკოლის დემონტაჟი დამთავრებულია და მაქსიმუმ წელიწადნახევარში უკვე ახალი სკოლა გვექნება," - ვ. გ., სკოლის დირექტორი, კაცი, 63 წ., ფახულანი.

თვისებრივი კვლევის მონაწილეებს გააჩნიათ თავისი წარმოდგენა, რა შეიძლება გაკეთდეს, რომ მუნიციპალიტეტში ადამიანებმა თავი იგრძნონ უფრო დაცულად. ერთ-ერთი ფაქტორი მათი გადასახედიდან რენტაბელური ეკონომიკური პროგრამების დანერგვა და მეტი დეცენტრალიზაციაა.

„საჭიროა დასაქმებაზე ზრუნვა, კარგი იქნებოდა სოფელში მცირე საწარმოების არსებობა. მაგალითად, გვაქვს ხილი, კარგი იქნებოდა მისი გადამუშავება, ამისთვის საჭიროა მცირე მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამების ამოქმედება. თემს საკუთარი ბიუჯეტიც კი არ აქვს, რომ ხელი შეუწყოს მსგავსი პროექტების დანერგვას," - ზ. გ., მერის წარმომადგენლის თანაშემწე, ფახულანი.

ხაზგასმული იქნა მეტი ჩართულობისა და მონაწილეობის მნიშვნელობა. მაგალითად მოიყვანეს „სოფლის დახმარების პროგრამა“. გამოყოფილი თანხის განკარგვისთვის პრიორიტეტად ერთ-ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი იქნა მიჩნეული.

> *„მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტით მხოლოდ ერთი პატარა უბანი აგვარებდა თავის პრობლემას, მთელმა სოფელმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მას,“ - ვ. გ, მამაკაცი, 63 წ., სკოლის დირექტორი, ფახულანი.*

მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით პოზიტიურად იქნა შეფასებული სათემო ჯგუფები, რომლებიც ჩართულნი არიან თემის პრობლემების ადვოკატირებაში.

> *„ჩვენ, ხალხს, შეგვიძლია ვილაპარაკოთ პრობლემებზე, მივუთითოთ ხელისუფლების წარმომადგენლებს ამა თუ იმ საჭიროების შესახებ. სოფლის პროგრამის ფარგლებში გადავჭრათ ის პრობლემა, რომელიც უსაფრთხოების თვალსაზრისით ყველაზე პრიორიტეტულია. თემს ჰყავს სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს პრობლემების გადაჭრაზე, მათი მუშაობა უნდა იყოს უფრო ეფექტური. ეს არის დამხმარე ჯგუფი, რომელიც შუამავალია ხალხსა და ხელისუფლებას შორის,“ - პ. გ., პედაგოგი, ქალი, 66 წლის, ფახულანი.*

დასკვნა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა საჭიროებათა კვლევამ ადამიანური უსაფრთხოების რიგი კომპონენტების მიხედვით გამოავლინა მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის არსებული გამოწვევები მათთვის უსაფრთხო, ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის კუთხით და გამოკვეთა საკითხები, რომელთა მოგვარებაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მოქალაქეების სრულფასოვანი საოჯახო და საზოგადოებრივი ფუნქციონირებისათვის.

ყველაზე გამოკვეთილი საკითხი, რომელიც უკავშირდება მოქალაქეების უსაფრთხოების განცდას, არის კონფლიქტის გამყოფ ხაზთან სიახლოვე, რაც მოქალაქეებში ტოვებს დაძაბულობის შეგრძნებას, კონფლიქტის ესკალაციის შიშს. მაღალია კრიმინოგენული ფონი. კვლევით გამოვლინდა მოქალაქეების წუხილი მუნიციპალიტეტში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის გამო.

რესპონდენტებმა დაასახელეს წლობით მოუგვარებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომელთა არსებობა საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებას: მათთვის დღემდე მიუწვდომელია გაზიფიცირება, წყალმომარაგება (არის სოფლები, სადაც სარეცხი მანქანა არასოდეს ჩართულა). განსაკუთრებით ზაფხულში, როცა ჭები შრება, ქალებს დიდი მანძილიდან უწევთ სასმელი წყლის ზიდვა. მოუწესრიგებელია მუნიციპალური და განსაკუთრებით შიდა გზები და შესაბამისად - ტრანსპორტის მოძრაობა. საგანგაშოა კრიმინოგენული სიტუაცია. მაღალია ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის მაჩვენებელი. საგანგაშო ნიშნულს აღწევს საგზაო შემთხვევები, საფრთხის შემცველია გადაადგილება სკოლის, ბაღის სიახლოვეს, სადაც არ არის ე.წ. მწოლიარე პოლიციელი, ვიდეოთვალთვალის კამერები.

მოქალაქეების აღნიშვნით, არსებული სოციალური და ჯანდაცვის სერვისები საკმარისი არ არის. სერიოზული გამოწვევებია ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით. მინიმალურია დასაქმების პერსპექტივა, რის გამოც ხდება მასობრივი მიგრაცია, განსაკუთრებით ქალებში, რაც მძიმე ფსიქოემოციურ დაღს ტოვებს მათ შვილებზე.

ხშირია გარემოს დაბინძურების მაგალითები. იშვიათი არ არის ძალადობის, ბულინგის შემთხვევები.

მოქალაქეები მიესალმებიან იმას, რომ მუნიციპალიტეტში დაინერგა ინოვაციური და სასიცოცხლო საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისები: მაგალითად, პირველკლასელების კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, გადაწყვეტილება დიალიზის ცენტრზე, რომელიც საჭიროების მქონე ადამიანებს ადგილზე მიაწოდებს მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მომსახურებას, რეანიმობილის მომსახურება. თუმცა გამოწვევაა ცენტრისგან მოშორებული თემების სამედიცინო მომსახურება.

მოქალაქეების ჯგუფები ერთხმად აღნიშნავენ საყოფაცხოვრებო ობიექტების სიმწირეს, რაც ნეგატიურად აისახება მათ ყოველდღიურ ყოფაზე.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხების საფუძველზე გაკეთდა რეკომენდაციები:

- პირველადი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგება, რაშიც უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტის წამყვანი როლი, შესაბამის ადგილობრივ და ცენტრალურ უწყებებთან, სერვისპროვაიდერებთან კონსტრუქციული კომუნიკაცია;
- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით ცენტრთან მოშორებულ თემებში მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველყოფა, რათა გაიზარდოს მოქალაქეების ხელმისაწვდომობა უსაფრთხო გადაადგილებაზე;
- მნიშვნელოვანია, გამოინახოს რესურსები მუნიციპალური გზების, შიდა საუბნო გზების მოწესრიგებისთვის;
- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის გაზიფიცირება, რის გარეშეც გაგრძელდება ოჯახების გაღარიბების, მიგრაციის ზრდის ნეგატიური ტენდენცია;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეებისთვის სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. მათ შორის უპირველესია საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები;
- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯანდაცის ხელმისაწვდომობის საკითხში მუნიციპალიტეტის როლის და ფუნქციის გაზრდა, სოფლის ამბულატორიების, ხელმისაწვდომი პირველადი დახმარების მოქნილი სისტემის გამართვა ამ კუთხით მოქალაქეების საჭიროებების სკრუპულოზური შესწავლის საფუძველზე;

- აუცილებელია მუნიციპალიტეტის სკოლებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით უწყვეტი ინტერვენციის განხორციელება და ბიუჯეტში სათანადო რესურსების გათვალისწინება, ამასთანავე დონორების რესურსების მობილიზება;
- მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე თემებში მნიშვნელოვანია აბიტურიენტების მომზადების ონლაინ პროგრამების დანერგვა;
- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოქალაქეების დასაქმების პროგრამების ინიცირება და არსებული სახელმწიფო პროგრამების რესურსის მაქსიმალური გამოყენებისთვის ბენეფიციარების სპეციალური საკონსულტაციო რეჟიმის დანერგვა;
- მნიშვნელოვანია ჯანსაღი სამოქალაქო და პოლიტიკური კლიმატის უზრუნველყოფა და სხვადასხვა სამოქალაქო ჯგუფთან დიალოგის რეჟიმი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და გამოწვევებზე სასაუბროდ;
- აუცილებელია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების, ძალადობის რისკ-ჯგუფების საჭიროებებზე რეაგირების მოქნილი მექანიზმების დანერგვა. სასწავლო დაწესებულებების სიახლოვეს უსაფრთხო გარემოზე პასუხისმგებლობის აღება შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - თეა გოლეთიანი

რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებაზე მუშაობდა
წალენჯიხის ქალთა საინიციატივო ჯგუფი

კვლევა მოამზადა ემა კამკიამ

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com

www.fsokhumi.ge
https://sosfsokhumi.ge/

www.facebook.com/fsokhumi/